



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
One-cycle Educational program of Medical Doctor	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, რეგულირებადი
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	დიპლომირებული მედიკოსი (090101)
ინლისურად:	Medical Doctor (MD) (090101)
დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	
დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი თანახელმძღვანელი თანახელმძღვანელი	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დუდანა გაჩეჩილაძე; დიპლომირებული მედიკოსი გიორგი მახარაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზვიად კირტავა
ინფორმაცია იხ. "პროგრამის ხელმძღვანელის CV"	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.	

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 წელს ანუ 12 სემესტრს შეადგენს. სემესტრი შედგება 19 კვირისაგან, სასწავლო წელი აგებულია 38 კვირაზე. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სასწავლო პროგრამა შედგება:

- სავალდებულო კურსებს - 346 (ECTS), მათ შორის:
 - ინტეგრირებული კურსები - 60 (ECTS)
 - საბაზისო/პრეკლინიკური კურსები - 71 (ECTS)
 - კლინიკური კურსები - 173 (ECTS)
 - კლინიკური პრაქტიკა - 25 (ECTS)
 - სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავება - 17 (ECTS)
- არჩევითი კურსებს - 14 (ECTS)

შენიშვნა: პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების ნაცვლად, სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტი აითვისოს თავისუფალი კრედიტების ხარჯზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამდასტურებელი (სახელმწიფოს მიერ დადასტურებული) შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ჩაბარების დამდასტურებელი დოკუმენტი.
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის გადალახვა გარდა ინგლისური ენის გამოცდისა. ინგლისურ ენაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 85%.
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების B2 დონეზე დამდასტურებელი სერტიფიკატის (IELTS/TOEFL/ან ჩაბარებული აქვს Medical College Admission Test (MCAT) და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს) წარმოდგენა (ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი ამოწმებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს მის მიერ შემუშავებული რეგულაციების თანახმად).

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 1 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- პირებისათვის, რომლებიც სწავლობდნენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	“დიპლომირებული მედიკოსის” საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული მედიკოსების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ზოგადი მისიის განხორციელების ხელშეწყობას. „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებზე. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი აზროვნების, ცოდნისა და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებას, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის წარმატებით წარმართვისა და დიპლომისშემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის. პროგრამის ამოცანები: ➤ სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების მიცემა; ➤ კურსდამთავრებულთათვის სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნის მიცემა; ➤ უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული უნარების განვითარების აუცილებლობის მოტივაციის გამომუშავება; ➤ ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნის მიცემა; ➤ კლინიკური და კომუნიკაციური (პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან) უნარ-ჩვევების და პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავება; ➤ ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება (პაციენტის პატივისცემა, მათი ინტერესების გათვალისწინება მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში მუშაობა;).
დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს აქვს მედიცინის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. - აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიების და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნას; - იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების და დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით; - აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში (ინდივიდუალური/ოჯახური გარემოს კონტექსტში, თუ პოპულაციაში ზოგადად); - აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა; - აცნობიერებს: კომპლექსური კლინიკური პრობლემების მნიშვნელობას და იცნობს მათი გადაჭრის გზებს. ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური

პრინციპებს, იცნობს კვლევის თანამედროვე სტრატეგიებს, ტრადიციულ და უახლეს კვლევით ტექნოლოგიებს და მეთოდებს;

შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ანამნეზის შეკრება
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტის გამხმევება და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება

კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის დასმა, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა:

- კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება
- პაციენტებსა და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის ოჯახზე ზრუნვა
- ქრონიკული დაავადების მართვა

გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები):

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიო-პულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება

- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

წამლები და მათი დანიშვნა:

- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას

სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება:

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა, კვლევის დიზაინის დეტალური დაგეგმვის მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის დაწერის უნარი
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნის გამოყენება

ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა პრაქტიკული პროცედურების ჩატარება:

- წნევის გაზომვა
- გულის ცემის და სუნთქვის სიხშირის განსაზღვრა
- ვენეპუნქცია
- ლუმბალური პუნქცია
- ვენაში კათეტერის ჩადგმა
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა
- ნაკერის დადება და სისხლის ტრანსფუზია
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
- შარდის და სისხლის რუტინული ანალიზის გაკეთება
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია

- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება

შეუძლია მედიცინის დარგში რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

აქვს ღრმა კლინიკური აზროვნება, შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებით, კერძოდ:

- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება და დასკვნის გამოტანა;
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება და დასკვნის გამოტანა;
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება და დასკვნის გამოტანა;
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა
- ალკოჰოლსა და წამალზე დამოკიდებულების დადგენა
- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა და შესაბამისი კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პაციენტთან, კოლეგებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას
- პაციენტის ახლობლებთან და ნათესავებთან კომუნიკაცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაცია
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
- წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
- კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
- კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით
- კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან
- ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.
- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება (კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღება, პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება, ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება, პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი.)

	შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; კურსდამთავრებულს შეუძლია: - შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; - აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება; - აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას; - აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი. კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. - აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა; იმ დამოკიდებულებების დემონსტრირება, რომელიც საჭიროა პაციენტთა დახმარების მაღალი სტანდარტის მისაღწევად; - იცნობს სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს. - შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. - პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას; - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
დასაქმების სფეროები და სტატისტიკური მაჩვენებლები	“დიპლომირებული მედიკოსის” საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს პროფესიული განვითარების პროგრამა რეზიდენტურაში (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და ერთიანი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებთ დასრულების შემდგომ მიენიჭოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის წარმოების უფლება. ბ) ჩაერთოს კვლევაში ან სწავლების პროცესში მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანდაცვის დარგში, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო საქმიანობას. სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში ან გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.
სწავლის გაგრძელების საშუალება	„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა და სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით სწავლა გააგრძელოს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სარეზიდენტო პროგრამებზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია 51%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა, შუალედურ შეფასებებში, ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 51% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ლექცია: სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა სტუდენტისათვის ვერბალური გზით, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი ინტერაქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს და ხდება სტუდენტების ჩართვა თეორიული მასალის განხილვის პროცესში; სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ლექციაპრეზენტაციებით. ლექციებიტარდებასადემონსტრაციომასალების (ატლასები, პოსტერები, პრეპარატები, ტაბულები და ა.შ.) და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პრაქტიკული მეცადინეობა - ლექციაზე განხილული თემატიკისა და საკითხების გაცნობიერება, ატლასებზე, პოსტერებზე, სადემონსტრაციო მასალაზე, პრაქტიკული სახის ამოცანებზე სტუდენტებთან მუშაობა და სალექციო მასალის გაცნობიერება.

სემინარი - ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს დისკუსიის მიზანმიმართულად წარმართვას.

დისკუსია - იდეების ერთობლივი გაცვლა მასწავლებელსა და სტუდენტს ან სტუდენტებს შორის სტუდენტების აზროვნების, სწავლის, პრობლემის გადაჭრის უნარის, გაგების, ცოდნის ღირებულების ჩამოყალიბებისა და გაღრმავების მიზნით. მონაწილეები წარმოადგენენ სხვადასხვა თვალსაზრისს, ხდება სხვის იდეებზე რეაგირება, საკუთარი იდეების შეფასება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, გაგების, საკითხების ინტერპრეტაციის ფორმირებასა და გამომუშავებას. დისკუსია შეიძლება მოხდეს მცირე ჯგუფის წევრებს შორის ან მთელი კლასის ფარგლებში როგორც მასწავლებლის ასევე სტუდენტის

ხელმძღვანელობით.

დებატები - მოითხოვს სტუდენტების ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას კრიტიკული საკითხების კვლევაზე, ლოგიკურ არგუმენტირებაზე, სხვადასხვა მოსაზრებების აქტიურ მოსმენას, სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციის დიფერენცირებას, რაციონალური კითხვების კითხვები, შესაბამისი ინფორმაციის ინტეგრირებას, თანაგრძნობის განვითარებას და მტკიცებულებების საფუძველზე საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას.

ჯგუფში მუშაობა (collaboration) - მონაწილეები იყოფიან ჯგუფებად და ეძლევათ სხვადასხვა დავალება. ჯგუფის წევრები მუშაობენ მოცემულ საკითხზე, საუბრობენ და მსჯელობენ. ეს მეთოდი ხელს უწყობს ყველა სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ანალიზი - პრობლემის/თემატურის საკითხის ღრმად შესწავლის უნარი; იგი ხელს უწყობს კონკრეტული დეტალების გამოკვეთას, მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლას, მისი შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირებას, ორგანიზაციული პრინციპების განსაზღვრას. პროგრამის ფარგლებში აღნიშნული გულისხმობს დისკუსია კლინიკური შემთხვევის გარშემო - ფიზიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი, დიფერენციალური დიაგნოზი, დიაგნოზი და მკურნალობის გეგმა და ა.შ.

სინთეზის - გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც „მთელი“-ს დანახვის უნარის განვითარებას. სწავლის შედეგების კუთხით ამ შემთხვევაში ხდება შემოქმედებით მიდგომაზე აქცენტის გაკეთება, რომელიც ხელს უწყობს ახალი ნიმუშებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - საჭიროების შემთხვევაში, თეორიული მასალის დაწვრილებითი ახსნა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

გონებრივი იერიში - სტუდენტებს მოეთხოვებათ გამოხატონ თავისი მოსაზრებები და იდეები დაუფიქრებლად, წინასწარი მომზადების გარეშე, შემდგომ ხდება მათი იდეებისა და მოსაზრებების დაჯგუფება, გადახედვა და შესწავლა. ხელს უწყობს კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებასა და ანალიზური უნარები გამომუშავებას.

ვერბალური პრეზენტაცია - თეორიული საკითხების ცოდნის დემონსტრაცია, მსჯელობა კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში.

პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია: პაციენტის გასინჯვა და ჩანაწერების გაკეთება, გამოკვლევის შედეგების წაკითხვა და ინტერპრეტაცია, დიფდიაგნოზის გაკეთება და დიაგნოზის განსაზღვრა, მკურნალობის გეგმის შემუშავება.

როლური თამაში - სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულებას და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებასა და დემონსტრაციას.

პრეზენტაცია - კურსის განმავლობაში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების შეფასება. შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინდივიდუალურად ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ. სამუშაოს მიზანია დამატებითი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი მოაზრების ჩამოყალიბება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს

სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

შემთხვევის ანალიზი - სწავლების ინტერაქტიული მეთოდი, რომელიც მიეკუთვნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს. მეთოდი სტუდენტს განუვითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს. ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, სტუდენტები ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს და წარმოადგენენ თავის დასკვნას. ხდება კლინიკური შემთხვევის განხილვა, პაციენტის ანამნეზის, გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიაგნოზის, მკურნალობის პრინციპების განსაზღვრა.

ქეზი - წერიტი ნამუშევარი -განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის ცოდნისა და ინტეგრირების უნარის შემოწმება. ხელს უწყობს გავლილი მასალის გახსენებასა და ახალ მასალასთან მის კორელაციას.

საკურსო ნაშრომი - კონკრეტული თემის/საკითხის სიღრმეული ანალიზი. საჭიროებს დამატებითი ლიტერატურის წაკითხვას, დამუშავებასა და წერილობითი ფორმით წარმოდგენას. იძლევა კონკრეტული მიმართულების/კურსის ფარგლებში ცოდნის გაღრმავების, უკეთ გაცნობიერების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გამომუშავების შესაძლებლობას, იძლევა საგნობრივი/დარგობრივი ცოდნის გაფართოების, კრიტიკულად, შემოქმედებითად და სისტემურ დონეზე ცოდნის ინტეგრაციის საშუალებას. იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა წერილობითი და ზეპირი ფორმით ნათლად წარმოადგინოს თავისი დასკვნები, იმსჯელოს მასზე, წარმოადგინოს თავისი ცოდნა და არგუმენტები, რომლის საფუძველზეც მოხდა საკურსო ნაშრომის შემუშავება; გააცნობიეროს კვლევის ეთიკური ასპექტები.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - ექიმი-სტუდენტი-პაციენტის ინტერაქციას პაციენტის საწოლთან, სტუდენტი უშუალოდ აკვირდება პაციენტის გასინჯვასა და მენეჯმენტს და შემდგომში ასრულებს თვითონ, ხელს უწყობს პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ექიმის ასისტენტობა - ექიმის დახმარება პაციენტის მკურნალობის დროს, მანიპულაციების ჩატარების დროს.

ტესტი - წერილობითი ნამუშევარი შუალედური და დასკვნითი გამოცდის დროს; თეორიული ცოდნის შფასება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია:

- 5 პროფესორით;
- 6 ასოცირებული პროფესორით;
- 3 ასისტენტ-პროფესორით;
- 39 მოწვეული სპეციალისტით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირების შესახებ იხილეთ 29-ე გვერდზე.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო, შიდა რესურსის გარდა მონაწილეობას იღებენ ქვეყანაში წამყვანი სამედიცინო დაწესებულებები.

მხარეთა თანამშრომლობა სამედიცინო განათლების სფეროში მოიცავს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში:

- კლინიკური, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას;
- სტუდენტთათვის კლინიკური კურსების სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებას;

- პროფესიული ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას;
- სტაჟირების გავლის შესაძლებლობას;
- ერთობლივი კვლევების წარმოებას;
- ერთობლივი კონფერენციებისა და აკადემიური შეხვედრების ორგანიზებას.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ სასწავლო კლინიკური ბაზებით ან/და ლაბორატორიებით.

პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ კლინიკებთან და ლაბორატორიებთან:

- „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი, შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;
- შპს „ნეოლაბი“;
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“;
- სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“;
- „კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;
- შპს „ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი, ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა“;
- სს „კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“;
- სს „კურაციო“;
- შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“;
- შპს „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი“;
- შპს „ნიუ ჰოსპიტალს“
- შპს „უნიმედ კახეთი, ბავშვთა ახალი კლინიკა“;
- „ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი“;
- შპს „სამედიცინო ცენტრი ინოვა“;
- „თბილისის გულის ცენტრი“
- კლინიკა „ენმედიცი“;
- „კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი“;
- „კლინიკა ღია გული“;
- სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
- შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“;
- შპს „კლინიკების განვითარების კომპანია“;
- შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“
- შპს „კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი“
- შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“
- შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს ორი ლაბორატორია: კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ჰისტოლოგია/პათანატომიის. ხოლო მემორანდუმის საფუძველზე მიკრობიოლოგიური ლაბორატორიით სარგებლობა ხორციელდება კლინიკა ნეოლაბის ბაზაზე. ლაბორატორიები არის კეთილმოწყობილი. ორივე ლაბორატორიას გააჩნია ბუნებრივი და ხელოვნური განათების წყარო. კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია აღჭურვილია მულაჟებით, სიმულატორებით და სხვა სამედიცინო ინვენტარით. ჰისტოლოგია/პათანატომიის ლაბორატორია აღჭურვილია მიკროსკოპებითა და სხვა საჭირო პრეპარატებით. უნივერსიტეტს აქვს osce ის საგამოცდო ოთახი სადაც ხდება ობიექტურად სტრუქტურირებული პრეკლინიკური და კლინიკური საგნების საგამოცდო პროცესის ჩატარება. ოთახი აღჭურვილია გამოცდების ჩატარებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით. ბიბლიოთეკას გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნების ელექტრონული ბაზა, ასევე წიგნების ბეჭდური ვერსიები. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსებისათვის, სადემონტრაციოდ, არსებობს ანატომიის, ჰისტოლოგიის, პათანატომიის და სხვა ატლასები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე და უწყვეტ გაუმჯობესებაზე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია საინვესტიციო, სტუდენტების დაზღვევის სერვისის ხარჯი, პროგრამის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის ხარჯი. ეს უკანასკნელი მოიცავს მედიცინის სკოლის საერთაშორისო ინტეგრაციისა და ადამიანური რესურსების განვითარებაზე გასაწევ ხარჯებს (იხილეთ პროგრამის ბიუჯეტი).	

კურიკულუმი	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის
სილაბუსები	☒ თან ერთვის ☐ არ ერთვის

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი												TS კრედიტი	
				I		II		III		IV		V		VI			
				E ECTS კრედიტი													
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
1.		-	შესავალი სხეულის სისტემების აგებულებაში (ძვალ-კუნთოვანი სისტემა) ანატომია, ჰისტოლოგია	7													
2.		-	შესავალი სხეულის ფუნქციებში (ფიზიოლოგია, ბიოქიმია)	7													
3.		-	უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია & ადამიანის გენეტიკა	6													
4.		-	უცხო ენა I	4													
5.		-	პირველადი დახმარება	3													
6.		-	კომუნიკაციური უნარ-ჩვევები მედიცინაში	3													
